საქართველო
სანოტარო აქტი

ქალაქი თბილისი, **ორი ათას თოთხმეტი წლის ხუთი ივლისი.** ჩემთან, ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელთან, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, გამოცხადდა **შპს „SINA“-ს (რეგისტრირებული 07.06.2013 წელს, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვარკეთილის დასახლება, IV მ/რ, რიგი II, კორ. 14, ბინა 49, საიდენტიფიკაციო კოდი: 406095648) დირექტორი ალირეზა ჰაჯიან** (ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, დაბადებული 17.12.1971 წელს, მცხოვრები (გაცხ. მის.) თბილისი, ბახტრიონის ქ. №11, პასპორტი № Y26509851, გაცემული 27.03.2013 წელს). მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც უფლებამოსილებას მიანიჭებს **თამილა ფანიაშვილს** (დაბადებულს 25.03.1962 წელს, პირადი № 01012000872) **შპს „SINA“-ს** საქმეების წარმოებაზე. **მან** მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. უფლებამოსილება დავადგინე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის № 644298. ამ განმარტებების შემდეგ შედგა მინდობილობა ქართულ და სპარსულ ენებზე. მინდობილობის შედგენაში მონაწილეობა მიიღო დიპლომირებულმა მთარგმნელმა – სედა ფანიაშვილმა (დაბ. 21.02.1965 წ. მცხ. თბილისი, ვარკეთილის 4 მ/რ, II რიგი, კორ. 14, ბინა 22, პირადი № 01012004285). მან შეასრულა მინდობილობის თარგმანი სპარსულ ენაზე პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ. მიმნდობი ენდობა მთარგმნელის კომპეტენციას. **მიმნდობმა** წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს, რასაც ვადასტურებ.

მინდობილობა

ორი ათას თოთხმეტი წლის ხუთ ივლისს, მე, **შპს „SINA“-ს** დირექტორი **ალირეზა ჰაჯიან** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მიმნდობი“ უფლებამოსილებას ვანიჭებ **თამილა ფანიაშვილს** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მინდობილს“ მასზედ, რომ მან აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია (თანხების შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა, ვალუტის კონვერტაცია და ა.შ.) საზოგადოების სახელზე გახსნილი საბანკო ანგარიშებიდან საქართველოს ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, აიღოს ამონაწერები და ინფორმაციები შესრულებული საბანკო ოპერაციების შესახებ, ასევე აწარმოოს მშენებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმე საზოგადოების კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, სოფელი დიღომი,** აიღოს საჭირო პროექტები, ნებართვები, აწარმოოს აზომვითი სამუშაოები, წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მერიაში, წარადგინოს და მიიღოს სათანადო დოკუმენტაცია, წარადგინოს განაცხადები, ხელი მოაწეროს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის, სახელით და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის № 644298.

გადახდილია სანოტარო საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, 10.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 1.80 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 2.00 ლარი, სულ 13.80 ლარი.

მიმნდობი: Ali Reza Hajian

თარჯიმანი: სედა ფანიაშვილი

ნოტარიუსი: ნ. ჯანხოთელი

وکالت محضری

درتاریخ 2014/07/05 به من نرگی جنجوریا محضر دار محضر واقع در روزتاولی شماره18 .

مدیر شرکت سینا تاریخ ثبت 2013/06/07 به ادرس وارکتیلی داساخلبا منطقه 4 ردیف 2 اپارتمان 14 پلاک 49 به شماره ثبت 406095648 اقای علیرضا حاجیان شهروند جمهوری اسلامی ایران تاریخ تولد 1971/12/17 ساکن شهر تفلیس خیابان باختریونی شماره 11 به شماره پاسپورت Y26509851 تاریخ صدور 2013/03/27 مراجعه نمود و خواهان واگذاری مسئولیتهای مشخصی از شرکت سبنا به خانم تامیلا پنیاشویلی تاریخ تولد 1962/03/25 به شماره ملی 01012000872 .شد. ایشان از درخواست تنظیم وکالتنامه و ثبت ان در محضر شد .

من با توجه به پا سپورت ارایه شده توسط ایشان مدارک را بررسی نموده و مطمئن شدم که این مدارک حقیقی می باشد و جای هیچگونه شک وتردیدی برای من باقی نماند . برای من مشخص شد که این وکالتنامه به میل واراده دو طرف قرارداد می باشد و هیچگونه زور و اجباری در میان نیست .

.من متن وکالتنامه و با توجه با سند صادره شده به شماره 644298 به دو زبان فارسی و گرجی را برای ایشان تنظیم کرده برای ثبت و تنظیم این وکالتنامه مترجم که در محضر اینجانب به ثبت رسیده حضور داشت .مترجم خانم صدا پنیاشویلی به شماره ملی 01012004285 وتاریخ تولد 1965/02/21 به ادرس

نموده تفلیس وارکتیلی منطقه 4 ردیف 2 اپارتمان 14 پلاک 22 وی متن را به فارسی ترجمه کرد و برای طرفین قرائت نمود . متن وکالتنامه برای طرفینمورد قبول می باشد و اظهار داشتند این همان مواردی است که مد نظر ایشان می باشد . ومن نیزبا مهروامضا ان را تایید می کنم .

وکالتنامه

در تاریخ 2014/07/05 من علیرضا حاجیان مدیر شرکت سینا که در این وکالتنامه به عنوان موکل و و تامیلا پنیاشویلی که دراینوکالتنامه به عنوان وکیل خود معرفي ميكنم .وکیل موظف است به تمامی امور شرکت سینا رسیدگی نماید کارهاو عملیات بانکی شرکت را اداره کند (از قبیل واریز کردن پول به حساب ؛ برداشت پول از حساب . واریز پول به سایر حسابها .وتعویض ارز و هر عملیاتی که مربوط به این امر می باشد را برعهده می گیرد . وکیل موظف است در در رابطه با ملک شرکت به ادرس شهر تفلیس؛ روستای دیغومی مدارک لازمه را از اداره اسناد و رجستری کشور دریافت نماید و به تمامی مراحل قانونی این کار رسیدگی کند و سند این ملک را دریافت نماید ودر صورت نیاز قرارداها و مدارک لازم را امضا کند در رابطه با ارگانهای دولتی و غیر دولتی اختیار تام دارد که با نام شرکت اقدام کند در رابطه مدارک را به اداره اسناد و املاک و رجستری ارائه دهد و هرگونه قراردادی که نیاز باشد را ثبت کند در صورت نیاز این قرارداد رافسخ کند. مدت اعتبار این قرارداد یکسال می باشد.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

58037120296714

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140701291

რეგისტრაციის თარიღი

05.07.2014 წ

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18
ტელეფონი: 032 2 990506

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18